



თეატრი სსოპრატა

სათეატრო სალიტერ. ჟურნალი

№ 22 — 1917 კვირბ მარტის 28	ფალიჩადი მინუთი
	ზახი 20 კ. ბაგოცემილა

მზის შესუედრა

1

ზნელს სინათლე ებარება,
ფუსფუსია ბინდბუნდ ცაზე,
მთვარე მიდის, ეფარება,
ნაღვლიანობს რაღაცაზე.

2.

მზე ამოდის მზე ამოდის!
ფრინველებმა დაჰკრეს ტაში
მსურს მეც გზაში მივეგებო!
მეჯინებეგ, ჩქარა, რაში..

გ. ქუჩიშვილი



სახელოვანი ოჯახი

სხედან: გ. წერეთელი, მუუღე მისი — ანასტასია; გიორგის
შვილები: ელიკო, სტეგანან; კაკი (მინისტრი) და ლეონი

კაკი წერეთელს

ღირსეულო მამის შვილო,
ხალხის გულის მეგობარო,
მზათა ხარ რომ მსოფლიოსთვის
იბრძოლო და სისხლი ჰღვირო,
მაგრამ გთხოვ არ დაივიწყო
მზარე შენი სანეტარო...

ვარ. ყიფიანი.

საამდროვე საუბარი

რუსეთის რევოლუცია რომ ნაყოფი ახალი ძალის—პროლეტარიატის, ჯარის და მოწინავე ბურჟუაზიის ბრძოლისა, ეს მუშათა და სალდათთა დეპუტატების უმრავლესობისაგან უტყუარ ჭეშმარიტებათ არის აღიარებული.

ამიტომ მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებმა ყველგან გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: დროებით მთავრობას მხარი დაუჭიროთო.

მოწინავე ბურჟუაზია რომ მხოლოდ მოწინავე მარტო ბურჟუებში, ეს მუშებმა და სალდათებმა ძალიან კარგათ იცოდნენ.

მოწინავე ბურჟუაზია რომ კლასობრივია და არა ზეკლასობრივი ან კლასთა გარეშე მდგომი, ესეც კარგათ იცოდნენ.

მოწინავე ბურჟუაზია რომ არც სოციალისტი და არც უკიდურესი რევოლუციონერი, ეს ხომ კიდევ უკეთ იცოდნენ.

მიუხედავათ ამისა მაინც დაადგინეს მხარი დაუჭიროთო.

ესეთ დადგენილებას შესაფერი ნაბიჯიც უნდა მოჰყოლოდა.

როგორია ეს შესაფერი ნაბიჯი?

მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო პეტროგრადში ზოგჯერ ისე იქცეოდა, თათქოს არავითარი დროებითი მთავრობა არ ყოფილიყოს.

ზოგჯერ ისე, თითქოს დროებითი მთავრობა მისი ხელქვეითი ყოფილიყოს:—ბრძანება ჩვენნი იყოს, ასრულება თქვენითო.

—თუ აგრე, პასუხის მგებლობაც იქისრეთ, გაეგდა დროებითმა მთავრობამ.

—პასუხის მგებლობა ბურჟუაზიისათვის დავითმა; ასეთ დროს ჩვენ პასუხისმგებლობას ვერ ვიცისრებთ.

ვინ ამბობს; ბურჟუაზიას კარგათ უნდა ჩაუსაფრდე, რაგინდ მოწინავე იყოს ის, კვალდაკვალ უნდა მისიძო, რომ რაც შეიძლება გადმოიჭარო დემოკრატიისკენ.

მაგრამ ამ ჩასაფრებესა და გადმოხრას თვისი სამზღვარი აქვს.

თუ ბურჟუაზიას და იმის დროებით მთავრობას მხარს უჭერ, მაჩანჩალათ აღარ უნდა

გახადო ის: ზოგი რამ შენც უნდა დაგეგმე, ზოგი რამ იმანაც უნდა გაიყვანოს თავისი, რომ ამითი ფასი ჰქონდეს ხალხის თვალში.

პეტროგრადში მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს სიტყვა და საქმე არ იყო ზოგჯერ ერთმანეთთან შეთანხმებული და საერთოთ მისი მოქმედება არ იყო გამედული. სიფრთხილე კარგად თვისებია, მაგრამ მეტისმეტი სიფრთხილე შიშის შესაზღვრება.

მოწინავე ბურჟუაზია უფრო დახელოვნებული გამოდგა.

სოციალისტების არჩევით დროებითი მთავრობაში მან ჩაიჭრა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო. ამ გზით ბურჟუაზიამ ძალაც შეიმატა და ნახევარი პასუხისმგებლობაც დემოკრატიას მოახვია თავზე.

ხანგრძლივად რევოლუციის ქარცეცხლში ასეთი საკონალიციო სამინისტრო, როგორც დღეს რუსეთშია, ერთ გვარი ხაფანგია დემოკრატიისათვის.

მაგრამ პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭო ისეთ გზას დაადგა, რომ ასეთი ხაფანგი არა თუ აუცილებელი, საქარო იყო და სასარგებლოც უნდა დარჩეს.

პეტროგრადის დემოკრატიის პირველ ნაბიჯებში ლოგიკა სუსტობდა, მაგრამ სამაგიეროთ მის მხარეზე იყო და არის ჯერჯერობით ლოგიკა ფაქტებისა, ლოგიკა რუსეთის სინამდვილისა.

ლენინის ქადაგებაში კი ლოგიკა იყო და არის, მაგრამ მისკენ არ არის დღეს ლოგიკა ფაქტებისა, ლოგიკა რუსეთის სინამდვილისა.

მართლაც თუ მუშათა და სალდათთა საბჭო მოწინავე ბურჟუაზიაში რევოლუციის ძალის ჰხედავს, თუ დროებით მთავრობას ის მხარს უჭერს, არც უნდა გახადოს ის ხელქვეითი და ფარემის სკამზე არ უნდა დაჯინოს.

ხოლო მოწინავე ბურჟუაზია და დროებითი მთავრობა იმდენათ არ არიან სანდონი, რომ მათი დაჯდომა ფარემის სკამზე აუცილებელია, მაშინ რაღა ეშმაკათ გინდათ ასეთი მთავრობა,— ყვეგების დასაფრთხობათ?

გადაბოძეთ თას და ხელთ იგდეთ მთავრობის მთელი უფლება.



რუსეთის სინამდვილის ლოგიკამ სძლია და ამის ნაყოფია საკოალიციო მთავრობა.

მეტათ მძიმე ტვირთი იკისრეს სოციალისტმა მინისტრებმა; ან უნდა დიდიუპონ, ან უნდა გვიმარჯონ და მტკიცეთ დააყენონ რუსეთი ახალ გზაზედ.

განსაკუთრებული სიხანაულო ჰმართებს ქართველ ერს, განსაკუთრებული სიამაყე ქართველ დემოკრატას.

სარევოლუციო რღვევის დიდი ნიჭი მან მისცა დიდ რუსეთს კარლო ჩხეიძის სახით; რევოლუციის ქარცეხელში შემოქმედების, აღმაშენებლობის დიდი ნიჭი კაკი წერეთელში.

უწინარეს ყოვლისა რა არის საქირო რუსეთისათვის?

რევოლუციის სრული გამარჯვება.

ამისათვის რა არის აუცილებელი?

ომი სრულ გამარჯვებამდგო, გვეუბნებიან.

შემცდარი აზრია.

საქიროა და აუცილებელიც ომის რაც შეიძლება ჩქარა დაბოლავება საპატიო ზავით.

ომის დაბოლავები აუცილებლათ საქიროა, რუსეთის დემოკრატები მთელი თვისი ძალღონე რევოლუციის მოანდომოს და მიიყვანოს ის დემოკრატიული რესპუბლიკის სრულ გამარჯვებამდე.

ომის დაბოლავება და საპატიო ზავი მართო რუსეთის დემოკრატიისათვის კი არ არის სასურველი, ის სასურველია ყველა მებრძოლი სახელმწიფოების დემოკრატიისათვის.

ამ ფრიად ძნელ საქმეს ხელი მოჰკიდეს რუსეთის სოციალისტებმა და ახლო მომავალი დავიანახებეს, ვამარჯვებენ თუ არა.

ივ. გომართელი.

ჩვენი თეატრის სადღეისო მოვალეობა.

დღევანდელმა მდგომარეობამ, სარგეოლოგიო მოძრაობამ, თეატრს სიმუშაო ნადავია შეუღარებლად გაუღდა.

ამ საერთო ალტარების ხანაში, როდესაც ვუქლას სურს თავისი სხვას ამინოს და სხვისი თვითონ გაივას, როდესაც მთელი ქვეყანა დამის არის აუდიტორიათ გადაქცეს, თეატრის, ასე ვთქვათ, აუდიტორიასაც ცხვენებასთან შეთანხმებული ტონი უნდა მიეცეს. ვერვინ უარყოფს ჩვენი თეატრის დიად სმასხურს ხალხის წინაშე, მან აზიარს იგი ევროპის საუკეთესო დრამატურგების იდეებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა თეატრმა ერთგვარი სიკოჭლეტე გამოინინა, განსაკუთრებით უმასლობელეს წარსულ ხანაში, როდესაც საკადობრო იდეების ორწონებაში ჩაჩინაბის დაბობდენ. თეატრს, მართოდ მართო თეატრს ქქონდა სმშუალება კანტიკუნტად შინდესხსზრდებობა საზოგადოება აგრძელული სიძლით.

ამის ნადგვლად ჩვენ რას გზვადგეთ? თითქოს განვლილი ბრწინვანდელ ხანა დაეწყებისთვის უნდა მივეგვად, თითქოს ცოცხალ სურათების ხაფგას საზოგადოების სულოერ მოთხენიდეებს ან შეადგენდა, თითქოს ცხებებმა და ბოკიდეებმა დემოკრატის—თეატრის ამ ერთად ერთ ნამდვილ მესვეურის—სულოერი მისწარფებანიდ ჩანანელა—ჩვენი თეატრის რეპერტუარის პირველ რიგში დრომოჭმული რისტორიული“ ზიესება დასვეს.

თავისუფლად სულოერად საზრდობას მოკლებულ დემოკრატის, რომელიც ძალაუნებურად ტანებობდა თეატრს. უმანანსო, მკვადრ იდეანი ზიებებით უმასმინძდედობდენ. ჩვენი თეატრიც არ იყო დემოკრატიული, მასისადამე არც შშიდრო საფუძვლზე მდგარი. ამით უნდა აგისნათ დღეს ის მოვლენა, რომ ეს საერთო ტრიბუნასტენს თითქმის ცარბილება. იმის ნადგვლად რომ დღეს მასაც ეთარა შევეთონ სიტუვას რომ მასაც დატუობობდა განახლება,—საზოგადოების წინაშე იგი თითქმის განიშვლებული გამოვინდა, ის დღესაც ვერ იშორებს კუშინდეულ ტენდეციებს, დღესაც ებლაჩქება დრომოჭმულ ზიესებს, დღესაც დაბობს საზოგადოება შეხირო რისტორიული“ ზიესებით დააბურს.

ჩვენი თეატრის მესვეურები ვერ აზინვენ ამ მდგომარეობის, იმის ნადგვლად, რომ დროით განიშვებდენ თეატრის დღევანდელ უნ-



გეშო შდგომარებით, რომ გამოსავალი გზა ეპიონ, ისინი თითქმის არხეინად არიან. დამრძევებს როდის იყო კარგი, რომ დღეს იყოს? ნუ თუ უფრო ისინი, ვინც დღეს დახვსებულ რაღებში გამოსულებს ტანს უგარვინ, თატრის შესვეურებათ იყენენ, ან გამოდებებან ოდენსმე? ნუ თუ დამხეიქრებელი არაა ის მიფულენა, რომ ისეთ ზეისების „მითაშენი“ კლუბის ინტელიგენტებაა და არა უტურური იმიედი თატრისა—დემოკრატია? დიხსნე დამხეიქრებელია. აქ რთი თატრია იმაღება: ერთი მათის ე. ი. ინტელიგენტის, მეორე ხალხის—დემოკრატული. მეორე უკვე იღვამს ფესს, პირველი კი სამარისკენ მიემართება, თატრის შუქი უნდა იყოს საზოგადოების, ის წინ უნდა მიუძღოდეს ხალხს: ამ უკანასკნელიდან ჩამოჩენი და უარყოფილის ღეჭვა თეტრს არ უბატება. დღეს თვით ქვანდ ახლადდენ თავისუფლების ჭანტყე, დღეს თვით ურწმუნო თომანდ სახალხო საქმეების წინაშე ფიფს დებენ და ნუ თუ ჩვენმა თატრმა, რომელიც წარსულ მიქმედებაში ბრწუნვალე ხანც განუდია, დღევანდელ მიმართში მანხანაღად დარჩენა უნდა იტანოს? ჩვენ დრმაღ გვწამს, რომ ეს ასე არ იქნება. ჩვენი თატრინდ ახლანაკლება თავისუფლების ძლიერ ჭანტყეზე, ალაკამეს მის იმი წგონდფეს მისამსახურებს, რომელიც სოფელად თუ ქალაქად მის მანლონიორ სახეს უმევიდრებენ, გასწმენდს რეპერტუარს დაფანკულ ზეისებიდან დადგება ნამდვილ დემოკრატულ საფუძველზე. მხოლოდ ეს უკადრუფეს მის მიმავლის ისტორიაში.

განსაკუთრებით დღეს უნდა განხილოთ თვალები ჩვენი თატრის შესვეურებმა, თუ კი ისინი ასეთობას აფასებენ. დღეს, როდესაც წარმოდგენების დასადგემლად ნებართვა თითქმის საჭირო არაა, უფრო ვიცინდარა მსახიობი განდა. ასეთების დირსებაზე და სხელაონო აფლადი-დებამზე ჩვენ შეითხველებს გასულ წლის 10. და 6. „ზაფხულის 16-16 ში მიფელანარაკეთ ამით უფრო სტენაზე კონტაობა აინტერესებთ“ ვინემ, რადღე სათატრო სელაფენება, რომელიც მათ იათო თავშესაქცეო სჯანი ჭკონათ აქ დამხეიქრებელია თატრის საძირკვლის გამოყრამათგან მიფუფქრებლად მიდებულ დახვსებულ რეპერტუარით. ამ უხელაფენებსა უფრო ისტორიულ

რეულ ტანსდემული კონტაობა აინტერესებთ, ვინემ ხალხისთვის სულოერ საზოდის მიწოდება. ჩვენი ტატრის შესვეურების მიფაღება ისიც არის, რომ ასეთებს თვალურთი ადვენან, შეამეშაფონ რეპერტუარა, თორემ რეფოლიციის დროს უარყოფილის მიღება სელ ხსლად ძლიერ დაფეინდება. საჭიროა შეეობრადოთ საზოგადოებზე და თატრინდ.

არ. ფანცულიაია.

ძღუნად აბაშელს

— „პაწა ძრეფნო, საღ მიხვალო? — სიღანაც დიხს მიფელიო!“

ხალხური.

მსურდა, ძმაო, შენთვის შეძღუნა

იშვიათი რამე ძღვენ; შემიწოება ყველას ვსთხოვე, შევაწუხე კაცი, ძენი; ვინ რა მითხრა, ვინ რა მომცა, და ვინ რით არ დამეხმარა, მგრამ ერთიც მოსაწონი არ გამოდგა, არა, არა! ჰო და ბოლოს ვადავსწყვიტე— მეთქვა შენთვის ერთი რამე, რაც რომ ჩემის თვლით ვნახე: იყო ღამე... ბნელი ღამე... წუთები და... ირაქრათა, ჩაიფრდლა ვარსკვლავები, და ვანთიადს აუმღერდენ ათასი ხმის ფრინველები. შევეყურებდი აღმოსავლეთს, აღისფერად აწილდებულს: ველი მუნით აღმომავლის სანახავსა მე დიდებულს... ამოგორდა ვარდი ცისა, ვარვარებდა, კანკალდდა, დიდ მსოფლიოს გასახარად იცინოდა, ფართქალიდდა... ამ დროს იყო— ვარდის გულზე ასოები დავინახე, ფერად იყო ფირუზისა, მოძრავი და მოცახცახე. წავიკითხე ასოები, სიტყვის რიგზე ანაშენი— მოვიხიბლდი, რა ჩემთ ბავთ ღალადი ჰყვეს: ა— ბა— შე— ლი... ცადფესა გ. ლომთათიძე.

ოცნება.

სენგინასი

ძღვნათ მიხ. ბოჭორიშვილს

I

ანგელოზივით გაემართა წინ სუსტი ხელები და ღვთიურის სახით ცას მისწერებოდა ენებას ამშლელი ოცნება.

ფრთები ნახევრათ გაეშალა, თითქო მზათა ეხლავე გაფრინდეს და მშვენებით მოხიბლოს ყოველნიყო.

ტკბილი ღიმილით ოდნავ ემჩნეოდა ლამაზ ტურნებზე და ქანდაკებათ ქვეული მალა გაიყურებოდა.

ლაშაზი, მიშვიდვლი ტანი ღერწამივით მოქნილიყო და მშვენებით ხიბლავდა იქაურობას.

მისგან გრძობა მიღებული შაშვი ჯა. დონსურთა ვაკიოდა და სიკოცხლის ხმებით აცხოვლებდა ზამთრის ცივ ღამეს...

მის ფერხთა წინ მისი შექმნილი მოქანდაკე—მხატვარი იწევა და საიდუმლოებით შესტკეპროდა თავის ხატებას.

— ზოი ოცნებავე, გრძობით ამბობდა ის, შენა ხარ ჩემი ნათელი მზე...

შენ ერთი მინათებდი შე სიბნელის გზას...

შენ მოგეცი ყოველივე... შენ გაჩუქე სიყმაწვილის ფიქრები და სიზრმები... შემოგწირე ჩემი ხიციოცხლე, რამდენჯერ მიპყრობდა მე ეჭვი...

რამდენი ცხარე ცრემლები დამიღვრია... რამდენჯერ დამიწყველია ჩემი ბედი, რადგან ვფიქრობდი შენ მოჰყვედმოდი...

მეგრამ გადიოდა დრო, მიჰქროდნენ საათები... ღამის ყრუ სიბნელეში შენ მაინც ჩემთან იყავი და მხნეთ ჩამძახოდი: „იპრობე შე შენთანა ვარ...

ღეე ჩემი სიკოცხლე ტანჯვათ იქცეს...

ღეე თავისუფლების და მშვენებებების მოტრფიალეს ბორკლოთა ჩხარუნში ამომძვრეს სული... არას დავეკებ. მე მაინც ბედნიერი ვარ, რადგან შენ შეგქმენი ჩემო იმელო, სემო სიამაყევე, ოცნებავი...

ნაკადულივით მისჩქეფდა ცრემლები მოხუცის მოქანდაკის თვლებიდან და ერთიან თრთოდა...

თრთოდა მოხუცი და მთელ სახეს მური სდიოდა... ის იწოლა სიხარულის აღში...

მწვევე სუსხი ზამთრის ჯარის ფრთებით დაჰქროდა და სიკოცხლეს ართმევდა ყოველივეს...

ამაყად ჩამოუქროლებდა ოცნების ხობას და დამონებას უჭადა...

დალილი მოქანდაკე კი იქვე იწევა და თვალს არ აშორებდა თავის ქმნილებას?..

ნუ თუ ამაღამ გაქრება ჩემი სიკოცხლე... ნუ თუ ყინვა დამიმსხვრევს ჩემს ღმერთას...

ერთ ღამეს მოსპობს მას, რასაც მე წლობით ვქმნიდი... შემდეგ ხომ არათ გიღვრება ჩემი სიკოცხლე შემდეგ... ხომ არარა ვიქნები... არარა!!! სასოწარკვეთილებით ქვეთინება მოხუცი მოქანდაკე და თავის სამოსელში ხვევდა ოცნების ხატებას...

II

მშვენიერი ზამთრის დილა იყო... ახლათ ამოსული მზე ოქროს სხივებით აქრობდა ცივ ყინვებს...

ძველ ხალათში გახვეული ოცნება ისევ ჯადოსნურათ გაიყურებოდა. მის გვერდით კი მოხუცი მოქანდაკე უგრძობლათ ეგლო. ის მომკვდარიყო.

ლ. ძიძიგური.



ალ. ვან. ვენეციკი
ჯარის კანდი გერმანიაშია ტყვედ.

ქ ა ლ ი

სომხური თქმულება, ემიმადინის მზრის სიფ. სემო ფაღინში ჩაწერილი.

იყო ერთი მუშა გლეხი, რომელსაც ისეთი კაპასი ცოლი ჰყავდა, რომ ყოველ წამს ბედს აწყველინებდა. ქმარს ერქვა სედრა ცოლს სატენია.

ერთხელ ყანაში ხენის დროს, სედრაქა წააწყდა თავიწრო და თავალ უწვედნელ ღრმა ხაროს. იქვე ეგდო დიდი სიბი ქვა.

უცებ აზრათ მოუვიდა: მოდი ერთი, ჩემს ცოლს ჩავადგებ ამ ხაროში და გადავერჩები მუდამ თავ ბედის წყველასო.

საღამოს დაბრუნდა სახლში და ცოლს უთხრა: ერთი ხარო ვნახე ოქროთი საფეხ, ხვალ წავიღოთ ტომრები და მოვიტანოთ. სატენიკას ჩვეულება იყო, რასაც სედრაქ ეტყოდა, მისი წინააღმდეგი ყოფილიყო. ახლაც სედრაქამ რომ თქვა ხვალ წავიღოთ ტომრებით ოქროს მოსატანათო, სატენიკამ დაიჩემა დღესვე წავიდეთო.

კარგით დაეთანხმა სედრაქა.

გაიღვეს მხრებზედ ტომრები და გაუდგენ გზას.

გაზში სედრაქ მიეცა საგონებელს: როგორ ჩავიტყუო ცოლი ხაროშიო. ვახსენდა, რომ რაც უნდა ეთქვა მას, სატენია სულ წინააღმდეგ მოიქცევოდა. ამიტომაც უთხრა:

სატენიკე, იცოდე, პირველათ მე უნდა ჩავიდე ჩემ ტომრით იმ ხაროშიო.

— არა სახუთით! დიასახლისი მე ვარ ოჯახში მე მეკუთვინის პირველად ჩასვლაო!

— შენი ნება იყოს დაეთანხმა სედრაქა.

— მიაწიეს ხაროს, სედრაქამ უჩვენა ხაროს თავი, სატენიკამ იკაპიწი კაბა, მოიმარჯვა მხრებზე ტომარი და ისურთხილით ჩავერა შიგ.

ქმარმა უყურა, და როცა ცოლი კი ძაღვზე ჩაიკოცა, აავორა დიდი გაქირვებით აქვე რომ დიდი სიბი ქვა იდგა და ხაროს თავზე დაავლო.

ექვე, ბრძანდებოდა მან და იკაპასე მერეთ ოსვლამდი, შემდეგ კი სასუფეველში

გაგინვენოს უფალმა. ოღონდ კი ჩემს კამბოჯა დამოს აშოროს შენი სასენებელიცო

რამდენიმე დღეს სედრაქა სულ არ ვაკარებია თავის ყანას: ისეთი საამო სიწყარე იყო მის სახლში, რომ გაუტკბა შინ ყოფნა, რამდენიმე დღის შემდეგ კი მას სძლია ცნობის მოყვარობამ, და წავიდა იმ ხაროსკენ, გაეგო იკაპირობის ამბავი.

მისვლამდი მოკრა ყური საშინელ ღრი-ალს თითქო ათასად დაქრილი დათვი ერთათ ზღაოდა.

სედრაქა შეკრთა, არა მალე სძლია შიშს, წადგა ხაროს თავს და დაუგდო ყური ღრიალი კიდევ უფრო საშინელი მოესმა. ხოლო მისმა გამოცდილმა ყურმა გააჩნა, რომ ის ღრიალი გასაოწარკვეთილებამი ჩავარდნილ გაქირვებულების ღრიალი იყო ცოტათი, როგორც იყო, გადააჩოჩა სიბი ქვა ხაროს თავზე და ჩასძახა:

— მანდ ვინ ღრიალებთო?

— ჩვენ ვართ, ორი ძმა ეშმაკი, მშვიდობიანათ გუზნაგობლით აქ, აჩვის ჩვენი კრინტი არ გაუგონია, სანამ ეს შეჩვენებული ქალი არ ჩამოგვიგდო ვილაცა ჩვენმა მტერმა. ამ ქალმა კი ისე ავერა, ლამის ერთმანეთი დავკამოთ. შენ, მაღლიანო, აგვხსენ ეგ სიბი ქვა ხაროს თავზე, შეგვადგინე ქვეყნათ ამოვიდეთ და საშავიროთ ყელამდე აგავსებთ ქვეყნის სიმღერითო.

სედრაქამ ჩასძახა—თქვენი შეველა კი მინდა, მარა მეშინია მაგ ქალიც არ ამოგყვეთ თანო.

ეშმაკებმა ამოსძახეს, შენ ნუ გეშინია, მარტო ერთ ციდაზე გადააჩოჩე ქვა, ჩვენ იმაშიც ამოვძვრებით და ქალი ვერ ამოგვყვებაო.

სედრაქამ აასრულა მათი თხოვნა, ეშმაკები ამოძვრენ, თავიანთ მხსნელს მადლობა უთხრეს და ჰკითხეს ვინ არის ის ქალიო.

ჩემი ცოლიაო, მიუგო სედრაქამ.

რამდენი წელიწადი იყავით ერთათო? ათიო.

აფურუმ შენს კაცობას. კაცი ჰყოფილხარო. ჩვენ კი ერთი კვირა ვერ გაუძელითო. აშოროს ყველა ჩვენთაგანს ამ ქვეყნათ ქალი,



როგორც ბნელეთში სინათლე და ჯოჯობეთ-
ში სიმარბილო. ხოლო შენ, ჩვენი მსხენლო,
ამას გეტყვი: ჩვენ ეშმაკობის მეტი არაფერი
სიმძლვრე არა გვაქვს, მარა შენ კი გაგამდი-
დრეთ, აი როგორ. ჩვენ ახლა წავალთ სპარ-
სეთში და იქ შევალთ შაჰის გვამში, დაემარ-
თებთ ავ ზნეს და სიკვდილის პირათ მივალწე-
ვინებთ. შაჰს დაასვენენ მთელი ქვეყნის ექი-
მებს, მარა ვერაინ ვერასუშველის, დაავზე-
ნიან ყოველგან ცხენოსანს ცხენოსანზე; ასეა
შაჰის საქმე და ვინც მოარჩენს, რასაც ით-
ხოვს იმას მიიღებს სააქიშოსაო. შენ თქვი—
მე მოვარჩინებო, წამოიღე ერთი სურა, ვეგრ
რომ წყაროა, იმის წყალი დაღვეინე ის,
ჩვენ მაშინვე გამოვალთ მისი გვამიდან და
შაჰიც მორჩება.

მაშინ ის თვითონ გითხავს რას დაჯერ-
დები სააქიშოთ, და რასაც მოსთხოვ მოვე-
ცემო. ეშმაკება გამოემშვიდობენ და წავი-
დენ.

მობდა ყვილაფერი ისე, როგორც ეშმა-
კებმა თქვეს: მალე გაჩნდნ სედრაქას სო-
ფელში შაჰის ცხენოსნები და ეძებდნ შაჰის-
თვის აქმს. სედრაქა გამოემზაურა—მე მო-
ვარჩენ, მხოლოთ, რასაც ვითხოვ შაჰის მო-
რჩენის შემდეგ, ის უნდა მომეცესო.

შაჰის კაცები, რასაკვირველია, დაეთან-
ხნენ, მაშინვე მოართვეს ბედაური ცხენი და
წაიყვანეს შაჰის სასახლეში. თერიანში მოს-
ვლის უშაღვე დააღბინეს შაჰს წამალი და
იმ წამსვე მორჩა ავი ზნით სნეული შაჰი,
რადგანაც ეშმაკები, პირობისამებრ, უხილა-
ვთ გამოვიდნ სნეულის ევამიდან.

—აბა, მთხოვე, ჩემო გამჭურნებლო,
რაც გულს შეგიჯერებსო.

სედრაქამ თხოვა: ყოველ ჯიშის საქონ-
ლის ჯოჯი, ციხე ქალაქი, და უფლება სასა-
ხლეში ცხოვრების, რთცა მოესურებოდა.
შაჰმა აუსრულო სათხოვარი და სედრაქა
შეეცა პირველი კაცი მთელს სახელმწი-
ფოში, შაჰს შემდეგ.

ეშმაკები გამოემშვიდობენ სედრაქას და
უთხრეს: ახლა ჩვენ მივდივართ თსმალეთში,
რომ იქაურ ხონთქარს ისეთივე დღე დავაყე-
ნოთ, როგორც აქ შაჰსო. იქიდან შაჰს კაცს
გამოუგზავნიან, რომ გამოგვიგზავნე ის ექიმი,

რომელიც შენ მოვარჩინაო, მარა იცოდნე,
არ ვაგნიწყურეს შენი ღმერთი, იქ არ მოხვდნე,
თუ არა წავახრბობთო.

რამდენიე ხნის შემდეგ მართლაც მოვი-
დენ მამთან ხენთქარის ელჩეი და თხოვეს
ექიმი.

შაჰმა უბძანა სედრაქას ხონიქარს ვასი-
ლი, ჩემსავით მორჩინიე და ჩემსავით ისიც
დავაგილოვებო.

სედრაქა, ეშმაკებთან პირობისამებრ,
უარზე დადგა.

შეუწნდენ კარის კაცები, ნახარ-ვეზირე-
ბი, მარა ვერაფერი გაწყეს: სედრაქას ეშმაკ-
ების ეშინოდა.

ბოლოს, შაჰის ბრძანებისამებრ, სდრაქა
ძალით წაიყვანეს ხონთქართან.

მაჟიეს სასახლეში. იქიდან გამოვიდნენ
კარის კაცები: პატვისციმით მიდეს სედრაქა,
უთხრეს ეს არის ეხლა მიყვინა ხონთქარს, ერ-
თი თვეა მის ბენდიერ თვალებს ლული არ
მიკარებიაო. ნაბძანები გვაქვს შენ მისი მოსა-
სვენებელის გვერდით ოთახში დავაბინავთო.

სედრაქა შეიყვანეს კარის კაცებმა თვალ
წარმტაც და გულის გამძღებ სამდიდრით მარ-
თულ ოთახში, თავი დაუქრეს და დატოვეს
მარტო.

მათი წასვლა და ბრახ მორეული ეშმა-
კების შემოსვლა ერთი იყო.

როგორ გაბედე შენ აქ მოსვლა შემდეგ
იმასა, რაც ჩვენ გითხარიოთო ციხლიგით ან-
თებუ თვალეზით და კბილების კრატუნით
დაეკიხენდ ისინი აგრეთვე კბილებ აკრატუნე-
ბულ სედრაქას, რომელსაც მეტს მეტი შიში-
საგან სული ხორციში გაყროდა და ხმას ვერ
იღებდა.

რას გაჩუმიებულხარო, ისეთი ზარით
შეუბღვირეს ეშმაკებმა, რომ სედრაქა უსა-
ზღვლო სასო წარკვეთილებასაგან მოეგო,
ფიქრათ ვაციოთ გულში და გაბედულათ მი-
უგო შემდეგი:

მე მხოლოთ იმილომ წამოგყვევი ნობ-
თქრის ელჩებს, რომ თქვენთვის სიძეთისა-
თვის სიკეთით მეგლო. მინდოდა გაჟფრთხი-
ლებინე და გაფრთხილებთ, რომ ჩემი ცო-
ლი ამომძვარა ამ ხაროდან და მოდის აქ...

— ააა? შენი ცოლი მოდის აქაო!?



ძალნო ჯოჯოხეთისანო, გვიშველეთ!! შებ-
დავლეს ეშმაკებმა და თავპირის მტერევით
უკვლოთ გადიკარგენ იმ ქვეყნიდან...

ხონთქარი რალა თქმა უნდა მორჩა და
ეს მორჩენა მან და მთელმა ერმა აქიმის სელ-
რაქას გრძნობას მიაწერეს. ხონთქარმა აავსო
ის ყელთამდე წყალთბით, მთელი ერი მოწი-
წებით პატვის სცემდა მას, როგორც უბად-
ლო აქიმს, და სედრაქა პირველ კაცთ გაზ-
და მთელს სასელმწიფოში, ხონთქარის შემდეგ.

ილია შუონია



ეგ. ნინოშვილის ხსოვნას

(21 მაისს 1917 წ. წარმოთქმული გურია-
ში მწერლის სამარესთან რეინის ტბის მოსამსა-
ხურეთა მხრით, ვარ. ეთფიანის მაერ.)

მატივემუშნო მოქალაქენო მხოლოდ
დმურთნი, სარწმუნოების დამფუძნებენი, დირს
ხედალენ შეშლვით ქება-დიდებას: „მოგვადით,
თავყანი ვსცეთ მუფყეს დმურთსა ჩვენსა!“

დღეს, 23 წლის შემდეგ, თქვენს წინაშე
დგას სურათი ჩვენთვის ტანჯული გენატკისა და
ჩვენდ მოწიწებით მოგსულგანთ თავყანის საცემ-
ლათ და ერთი-ერთმანეთს ვეუბნებათ:

მივიდეთ კრძალვით და თავყანი ვსცეთ
ძვირფას ეგნატეს, ჩვენს თანამგრძნობელს
და მასთან კიდევ შენდობა უთხრათ
მისს აყენის მრწვეველს და აღმზღელს

| მშობელს.

ხომ ხედავთ კიდევ თავ-პირს იმტერევენ

„ზაფიასტომის ტბას“ მტრეგები,

ტირიან, ოზერენ ეგნატეს სიკვდილს

და გაწეწილი აქვსთ ყველას თმები.

„მოსე მწერლისა მოქმედებითა

მღვდელი, რომელიც იყო ტანჯული,

შენი სიკვდილის გაგონებაზე

იმანაც მსწრაფლად დალია სული.

ქაისტინედ ხომ მთლად დაკაწრულიე

შვილიც უტირის სხვის კერას მწარედ,

სამონაც ტყეში გლოვობს შენს სიკვდილს,

თავის ამქრებით არის მწუხარედ.

კოლშვილიანად თავზე დაგვტირის
მწარედ „გოგი ის შიშუელი“,
რომლის ცხოვრების ტანჯვა-წვალემა
მევერ-მეტყველურად გაქვს აღწერილი.
„მკვლავაქვებო თანავგრძნობენ,
„მუნჯაძემაღ“ ამოიღეს ხმა,
მათი წუხილი შენს დაკარგვისთვის
უსაზღვრო არის და მასთანვე ღრმა,
ამისათვის, რომ ტანჯულ-დევნოთა
შენ ჰქომავობდი, ლაპარაკობდი,
მაგრამ უღრვოდ მზე დაგიბნელდა:
მოგეშორდი მალე და ტანჯვით მოკვდი
მოკვდი და, ჩვენდა საუბედუროთ,
თუმც ვერ გიხილავს აწ ჩვენი თვალი,
მაინც მჯეროდეს არ დაგივიწყებს
ჩვენი წარსულენ და მომავალი..

ვარდენ ყიფიანი დენკიტელი



გუშინდელნი

მოქმედება მესამე.

იგივე სანახაობა. დადამებულია და შორიდან გორაკებზე გაშენებულ სოფლის სანთლები მოსჩანს. შორიდან არეული სიმღერა და ღრიანცელი მოისმის. აივანზე ბნელა.

— ბ —

ფაცია და დადიკო კიბეზე ამოდიან.

ფაცია კარგია-მეთქი, ნუ სულელობთ!..

ადიკო. ესუღლეობ კი არა აბა რა მოგწონათ იმ ნემეცის?

ფაც. ვინ მოგახსენათ რომ მომეწონა? **ად.** როგორ არ, ჩემის ყურით გავიგონე, რომ სიყვარული ავიხსნათ და თქვენც უარი არ განგვიხადებიათ.

ფაც. იფ, მშვენიერი ხელობა კი დაგიწყევით ჯაშუშობა!

ად. ეგ სულ ერთია!.. ეხლა საქმე მაგაში არ არის!.. უმთავრესი ის არის, რომ მაინც მოგხიზნათ ბრკვილა ჩინურმა და ღეზების რაწიკარუქმა...

ფაც. კარგი, ვთქვით ვერცე არის... მე-რე თქვენ რა?..

ად. მე ის რომ რას გამოელთ ამ ვილაც გადამიელისავან?.. თქვენ აკი ამბობდით—ჩემი პრინციპი კანონიერი ჯვარის წე რა არისო.

ფაც. მერე? რა იცით რომ თუ მოვისურვებ ჩემზე ჯვარსაც არ დაიწერს?

ად. (გადახსიხარება) ვინა? გრენგლომა? ნეტავი ეგეთი გულ-უბრყვილო არ იყოთ. როგორ არ იცით, რომ ის გამოცდილი ღონ-უანია და ისიც მხოლოდ იმას გამოელის თქვენგან, რასაც მე.

ფაც. უზრდელი!

ად. ეგ შაბლონური სიტყვაა... მე მხოლოდ ეს მაკვირვებს ჩენი ქალებსა: თუ ერთი ვინმე უცხო გამოჩნდა, პრინციპი იყოს თუნდა სტრანეიკი ხელათ მინებდებიან. და ეჭვო კი... ოო, უსათუოდ ჯვარის წერა, ქორწინება და ამისთანები...

ფაც. მაგ სიტყვებს ჩემზე ვავლენა არა აქვს...

ად. ეპ, როგორ არ ვიცი... ჩემი საქმე

მაშინ წახდა, როდესაც სიტყვებზე მივარდა საქმე... მაგრამ აი მოვიდა გამოცდილი კაცი და უკვე მოქმედებაც დაიწყო...

ფაც. უპ, რა გულ-ღვარძლიანი ყოფილხართ... ჩემ საქმესაც მომაცლინეთ: აქ გამოგზავნეს, რომ ახალი სუფრა ვავშალო და...

ად. საღ? აქ, აივანზე?

ფაც. (აჯავრებს) ღიახ. აქ, აივანზე და... სულ ჭიკინაზე რომ ვასკდეთ, მაინც მაზრის უფროსს მოვუჯღღები და ვეარშიყები. (გაღიხ)

ად. (მთაუფლებს) ია და ვარლო, მე „ატ-სტავკაში“ ვარ (გაიარაგამოაჩს, სტვენს)

— ბ —

კიბიდან ამოდის „ფოფოლია“. სახე აქანძულია აქვს, თმაში მიშლია-მოშლია. დადლია, სე-ჯა შემოდის, თითქო მოიხარება. მოდის და ტახტზე მძიმეთ დაეშვება.

ად. ეს ვინ ბრძანდება? სინბელემი კარგათ ვერ ვარჩევ.

„ფოფ.“ უპ, გავისკდა მიწა, რა შემაშინე!

ად. აა, ფოფოლია ბრძანდება? საღ დაგვეკარგეთ ამ შუა სადილზე?

„ფოფ.“ რალაც თავი ამტკიცდა, შენ მომიკვდე.

ად. თავი? მეც მომწყინდა სადილზე და წელან თხილნარისაკენ გამოვიარე.

ფოფ. (შეკშინდება, შიშის კილოთი) უი, გავისკდა მიწა.

ადიკო. თქვენ რა, მერე? თხილნარში კარგი სასიერნა. მერე თხილიც მომწიფებულა.

„ფოფ.“ დაგწყველოს ღმერთმა, რას ლაპარაკობ?

— გ —

(შემოდის შოდელია ქილორდავა და ზურგით მიუჯდნობა აივანს ხარხარს).

ად. რას ვლაპარაკობ?.. არაფერს. აი მიხეხი, სულო ჩემო (მიათითებს ქილორდავაზე) აი მიხეხი...!

(შემოდის ბიჭო. შედგება შუა შეკადრე შის ზემოთ ჩამოკიდებულ ფანჩის დაშინარს ანთებს სტენა განათებას. გაღის. ასევე ბუნდება და სუფრას აწყობს)

„ფოფ. (სინათლეზე შეამჩნევს ქილორ-
დავას და შეკრთება) უი!

აღ. რა მოგივიდათ, ნიფადორა?

ქილორად. (სინათლეზე გასწორდება და
შორიანს. ფოფოდასას ადრეინებით შესქერას.
ულუქს აგრესს, ქშინავს).

ფოფ. (წამოადგება) რას იკბინება ეს
წყეული კოლო.

აღ. კოლო კი იყო?. ჩვენ სოფელში
კოლო არ იცის. ხოკო იქმნებოდა, შავი,
ულვაშებიან ხოკო.

„ფოფ.“ რას ლაპარაკობს, გავისკდა მი-
წა! (ერთს სიუჟარულით გახვდავს ქილორდავას
და გადის, გააანს ქილორდავასკენ) არა, ისევე
ქალაქში უნდა წავიდე, თორემ აქ.

ქილორ. (დრეკით) ქალაქში მიბრძანდე-
ბა, პატონი?

აღ. (ჩაჩერდება) დიად, ქალაქში.

— ე —

შინა ოთახებიდან გამოდის კენ. ჩიტუნია, მოქან-
ტული სახე აქვს. ბიგნისკენ გაივლის.

კნ. ჩიტ. თქვენა ხართ, აღიკო?

აღ. გახლავართ, კნენია... რა ამბავი,
სადილზე მოგვეტოვეთ?

კნ. ჩიტ. საშინელი თავი ამტკივდა, ყმა-
წვილო...

აღ. (განზე) რა ამბავია, დღეს ყველას
თავი ტკივა?

კნ. ჩიტ. (ზოდის, ტახტზე ჩამოყრდება)
მოდით აქ, აღიკო, ხომ ნებას მომცემთ ასე
დაგიძახოთ?

აღ. (მოუხსლოვდება) რასაკვირველია,
კნენია...

კნ. ჩიტ. რა ვიცი, ეხლა დავაფუცდით,
დიდი ხანია არ მინახავხართ... მოდით აქ,
ჩამოჯექით, მიახმეთ თქვენი ამბავი...

აღ. (ასლო შეუფდება)

კნ. ჩიტ. А на самомъ дѣлѣ вы ин-
тересный молодой человекъ...

აღ. ელივს... მაღლობა ღმერთს! ამ სო-
ფელში ერთი ქალისაგან მაინც გავიგონე ხე-
ირიანი სიტყვა.

კნ. ჩიტ. როგორ? არაიენ არ განებივ-
რებთ?.. Бѣдный мальчикъ!

აღ. Только не жалѣйте, княгиня...

კნ. ჩიტ. არა, ვიცი... მარჯვე ბივი ხა-
რთ... ვამალონეს. ჩვენ კნიფენას ვარშიყებთ
ძალზე. რა? თუ გინდათ მე გავიროვებთ საქ-
მეს.

აღ. არა, კნენია, ცოლათ არ მინდა.

კნ. ჩიტ. Ахъ вы.. ერთი ამის დამიხე-
დეთ. ახალი მოდის კაცი! რა? თქვენც ხომ
ფუტურისტი არა ხართ?

(გარედან სიმღერა და ხმები: „ახალი
სუფრა, ახალისუფრა!) Ахъ надоѣли...

სიმღერა ახლოვდება. კნენია მიხვდავს აივ-
ნისკენ, შეაჩერდება ქილორდავას. ნელი დამიდიო
რას ატუზულა ეს სტრაჟინიკი?

აღ. Этого стражникъ княгиння, мо-
лодецъ..

კა. ჩიტ. (გაკვირვებულად) Какъ?

— ვ —

შემოდან მარხის ფეროსი და კოწია
გადახეულნი. ორავე შეზარხაშებულა. უფრო
კოწია. ცოტა ხნის შემდეგ შემოაფენ სტუმრე-
ბი, მოაღერებია, პრისტავი

მალხ. ზი და პაპუნა

მაზ. უფ. აი ჩვენც მოვედით, дорогой
князь.

კოწ. შენი ქირიმე, შენი. დიდებული
ყაზახი ხარ, დიდებული. (შემოაფენ სტუმრები
სიმღერათ, მაგრამ ისე კი, რომ სიმღერა მო-
დახარაკეთ არ უნდა უშლიდეს

კნ. ჩიტ. (წამოადგება. ადიკოს) ეხლა კი
ამათ გავეცალოთ, თორემ.

მაზ. უფ. (დაინახავს კნ. ჩიტუნას, მი-
დის მასთან) Ахъ очаровательная княгиня.

აღ. (ჩამოაშორდება კნენიას და სტუმრე-
ბისკენ გადადის)

— ზ —

(ბიჭს შემოაქვს ღვინო და სანაყავე შემდეგ
გადის)

მალხ. (ასხამს ღვინოს. სტუმრები მავი-
დისთან გრფობიან. ზოგი ჯდება, ზოგი ზე-
ზეურათ იღუქმება ან სეჟამს. სიმღერა წუდება).

მაზ. უფ. რაზე გავიწყვროთ? სადილზე
მიგვეტოვეთ.

კნ. ჩიტ. თქვენ აღარ გემადლიერებთ,
ელუარდ ერასმოვიჩ.

მაზ. უფ. რატომ? რა დავაშავე?



ქნ. ჩიტ. როგორ თუ რა დააშავეთ! რა იყო რომ ფაცისა გადაეკიდეთ?

მაზ. უფ. Я княгиня... я. княгиня. Нѣтъ, это одинъ восторгъ... Вы ревнуете, ექვიანობთ?

ქნ. ჩიტ. შენმა მზემ... много чести...

მაზ. უფ. მაშ რა, კენინა?

ქნ. ჩიტ. რა და იცით, ნებას არ მოგცემთ, რომ კნიაჟნას არაშეყომა დაუწყეთ. რა თქვენი საქმეა! ქალიშვილი ქალია, გაუთხოვარი...

მაზ. უფ. Но я княгиня...

კოწ. (მაგიდასთან თავის ჟგუფს) შენი პირიმი. რა ქვია, კაცო?

პრისტ ელუარდ ერასმოვიჩ...

მაზ. უფ. Сейчасъ, сейчасъ.

ქნ. ჩიტ. თქვენ კი ცოლიანი ხართ. გამოქნილი დონ-ეუანი.

მაზ. უფ. რას მიბრძანებთ, კენინა? მე ხომ ქვრივი ვარ.

ქნ ჩიტ. როგორ, მართლა? (განცვიფრებულად) მაშ თქვენ სურთოხულათ გინდათ?..

მაზ უფ. სრულიად სურთოხულათ, კენინა...

ქნ ჩიტ. გინდათ ფაცია შეერთოთ?

მაზ. უფ. გაძღვეთ პატროსან სიტყვას...

ქნ. ჩიტ. აჰ უკაცრავათ! მომიტყვეთ, მომიტყვეთ, გეთაყვა... თუ ესეა, ღმერთო...

Какой вы славный.

მაზ. უფ. Вашу ручку, княгиня. (კოწის სკლზე)

ქნ. ჩიტ. მაშ გახსოვდეთ თქვენი სიყვამე.

მაზ. უფ. მიუცილებლათ, კენინა...

კოწ და სხვები ელუარდ ერასმოვიჩ...

მაზ. უფ. ესლაგ, ესლაგ!.. კნეგინია წავიდეთ!

ქნ. ჩიტ. კარგი. ესლა აღარ გიწყრებით... (სულ-გაურთილი გაუგება მაგიდასკენ)

კოწ. ეს ვინც მოვიდა გაუმარჯოს!.. აბა, ყმაწვილებო, ღმერთმა გვიცოცხლოს ჩვენი კენინა ჩიტუნის თავი.. ეგ არის ჩვენი პირისუფალი, ჩვენი გამკითხავი, წვენი სოფლის დეოფალი... აღავერდი, ყმაწვილებო ღმერთმა ნუ მომიშალოს, ბიძიკო, შენი თავი... (ხელზე აკოტებს)

ქნ. ჩიტ. გამდლობთ ბიძია.

(მრავალ-ჟამიერ)

მაზ. უფ. უჰ მართლა! საღ არის ჩემი კნიაზი გორგასლანიანი.

პრის ქილორდავა! Позвать сюда Гога-славянини...

ქილორდ. სიჩას! (გაგანდება)

ქნ. ჩიტ. (მასწავს უფროსს) რათ გინდათ?

მაზ. უფ. უნდა ვაქიდავო...

ქნ. ჩიტ. კარგია ერთი რას ამაიმუნებთ.

მაზ უფ. О, уверяю, одинъ восторгъ. ისეთი ფრანგული ქ დობა იცის... Настоящий...:

ქნ. ჩიტ. კარგი ერთი...

მაალხზ მაგრამ აქ სხვა ვინმემ ფრანგულის ქილაობა?.. აა მართლა, უთუოდ. თქვენ (აღიკოს) молодой человекъ...

ად. ქილაობა კი არა... მოიტათ დენო მინდა დავლითო...

ქნ. ჩიტ. ოჰო...

მაალხზ. რათ გინდა, გენაცვალებ... აკი არა სევა...

დღიკო. არა, ესლა უნდა დავლიო... გულზე ზოღმა მომაწვა... მოიტათ!.. (უსხამენ)

—

გორგასლანიანი, ქილორდავა

გორგას. (გამოქვიშება მასწავს უფროსს). ჰე ჰე-ჰე! რას მიბრძანებთ, ვაშე ვისოკობლაგოროდი!

მაზ. უფ. აბა, французскую борьу... ხელათ...

გორგას. слушаюсь... მაგრამ ვის ვექილო, ვაშე ვისოკობლაგოროდი...

მაზ. უფ. აგერ მოდი, შვილო, აგერ... რავე, მოხუცი რომ ვარ, არ ვიცი გგონია?.. ქალაქებში ნაშეოფი მეც ვარ და ფრანგული ქილაობის ცოტა მეც მესმის...

გორგას. ჰე-ჰე-ჰე! მობრძანდი.

მაზ. უფ. Ну, живо!

კოწ (მასწავს უფროსს) დიდებულები ყაზახი ხარ, დიდებულები...

(მოწიდავები მოემსახდებიან და იწყებენ ქილაობას. მასწავს უფროსი შესთავრებს შენიშვნებს აძღვეს და თან ზოგჯერ წამოაყვამებს: ჰოჰო ჰოჰო! სანათო დრინაგელი მუყურბულები. ბილას გო-

რგასლანიან წაქტეგეს მადხასს. სპერთო შოწონ-
ების ხმა.)

მამ. უფ. ბრავო, ბრავო! (მოიღებს ჯიბი-
დან ფულს) აი ესეც შენ 15 მ.

გორბას. (ქმინაეს, გამოათმეგეს) ჰე-ჰე-
ჰე! რად სტარატსა, ვაშე ვისკობლიაგორო-
ლიე!

კოწ. ფუი, შეარცხენა ღმერთმა შენი
კნიაზობა...

მამ. უფ. А что?

ფაც. (თეფშით ჩხელ-ჩხელი ხაჭაპურები
შოქტეს) ესეც ჩვენებული, ცხელ-ცხელი ხაქა-
პურები

ყველანი გარდა აღიკოსი. ააა!

მამ. უფ. Чудная княжна, одинъ
восторгъ, ей Богу!

ფაც. Я Сама испекла

მამ. უფ. Самы? Одинъ восторгъ
ქნ. ჩიტ. ბატონებო მაშ ვადღერძე-
ლოთ ჩენი კნიაჟნა.

მამ. უფ. Охъ, съ удовольствіемъ...

ყველანი. გაუმარჯოს, გაუმარჯოს.
(სიმღერა)

ად. (უერნად ზეზე წამოადგება) ბატონებო!
ხმები. წმ, ჩუმაღ...

ად. ბატონებო... აი ჩვენ აქ ვზივართ,
ექეთობთ... და ვინ იცის რა სისამაღლეს არ
ჩვედივართ... (უხეზული სიჩუმე).

კოწ. (წამოვარდება) იმე. რას ამბობს ე,
მღვდელი!

ად. მე კი შევცქერი ამ სიბნელეში
ჩენს ციხე-ბურჯს და ვინ იცის რა აზრი არ
მიტრიალებს თავში...

მამ. უფ. (მოიღუშება)

პრისტ. Пожалуйста, [ციხე-ბურჯზე ნუ
ილაპარაკებთ...

ხმები. რატომ? რატომ? თქვი, თქვი
გენაცვალე...

ად. მე განა ისეთს რას ვამბობ...

მამ. უფ. Ничего, говорите, дуйте...

*) ეს სცენა შეიძლება შეიცვალოს ჩვენურ ტეკ-
თამ. ტანგთო ან ესეთ რაიმე განსხვავებულ ზე-ის აღ-
სრულებით, რაც კი მოუხდება და მოუხერხდება გო-
რგასლანიანის როლის აღმასრულებელს.

აეტ.

(ქნ. ჩიტუნას) ეხლა ისეთ გუნებზე ვარ,
რომ რაც უნდათ ის ილაპარაკონ...:

ად. ვავეცქერი-მეთქი ციხე-ბურჯს და
ფეჭრობთ ერთ ღროს იქ იყო სიცოცხლე,
იყო თავისებური სიხარული, სიყვარული,
ტანჯვა, მწუხარება. და დღეს კი ყოველი-
ვე ჩამქრალა. აღარაინ არ ეკარება. რომე-
ლიმე ჩიტი თუ გადაფრინდება მის თავზე, ხო-
ლო დამით კი აღმურები და ქოტები ბუღო-
შენ. და ვინ იცის აქაც. აი, სადაც ეხლა
ჩვენა ვსხედვართ, ვღრიალებთ დავფხრიალე-
ბთ, ერთ-ღროს სულ სხვა აღამიანები იყენენ
და სულ სხვა გვარ ზრახვიდნენ, ფეჭრობ-
დნენ. იყენენ გოლიათები სულით, სხეულით.
ჯან-სალი გონებით და მოქმედებით... ჩვენ კი.
აი, ბატონიშვილი გორგასლანიანი... (პაუსა)
15 მ. დღებულობს კილაობაში... (აჯჯა).

გორგას. ჰე-ჰე-ჰე! სობდათ გაისმის მისი
სიღიჯი მძიმე ჰაუსა).

კოწ. მერე.

მამ. უფ. (აღნენის კილოთი) გაუმარ-
ჯოს საქართველოს!

(იქა-ქ თავ-შეკავებული სიღიჯი)

კოწ. დიდებული ყაზახი ხარ, დიდებული.
ფაც. (წამოადგება და შუა ალაგას გახერ-
დება).

კოწ. გენაცვალე, შეილო, აბა ერთი
ლექსი... აი ის ახალი ლექსი რომ იცი...

ქნ. ჩიტ. ო, ჩინებულიათ...

მამ. უფ. О, тогда просимъ, про-
симъ...

ხმები. გთხოვთ, გთხოვთ!

ქილორად. (კადას)

ფაც (თავს უკან გადაიდებს აჩუკთ და
ზეზიართ წარათქვამს სანდრო შანშიაშვილის
აქქსს)

ბატონიშვილს გული უწუხს,
მარტო ვეღარ სძლებს!
უგვირგვინოდ ბაღში დაღის,
ჩჩეულს სევედა სძლევს.

სღუმს ხუმარაც, აღარ ამბობს
იგავ-არაკებს...

თავს ყოვანი დასტრიალებს,
შავი შავად ჰყვფს!

ბატონიშვილს გული უწუხს,



მარტო ველარ სძლებს;
აიღა არის ღღერფაფლი,
ფერ-მიხილი წვეს,

ჰგარძნობს, საყვარელს დაშორდება,
ჩუმიად ცრემლი სჩქევს.

და თან ესმის: შორს ყორანი
თვალ-ბედითი ჰყუფს;

ბატონიშვილს გული უწუხს,
მარტო ველარ სძლებს!

სეფე-ქალნი ქვეთინებენ,
ტირილი აქვთ რძლებს!

გლოვის ზანი ჩამორეკვს,
თალხს აცმევენ ღერბს.

ბატონიშვილს აღარ სძინავს,
გულ-ხელ დაიკრეფს...

ყორანი კვლავ დაყოლებს
და ყურყუმი ჰყუფს.

ყველანი. ვაშა, ბრავო, ბრავო!
ქნ. ჩიტ- მთო интересно..

კოწ. (ემაწვებას) აბა რას მოგაწყენი-
ათ?.. ერთი სიმღერა: „თინას ვენაცვალბიო!..
(გაბმღერებს. სხვები მღერაან)

მაზ. უფ. (გაღიანგვლებს ტანტისაკენ)
ქნენა მოდით აქ ჩემთან.

ფაც. რა გნებათ?
მაზ. უფ. ვაღმოგეპით აქა.. (ჩამოსხლე-
ბაან ერთად)

ქნ. ჩიტ. (წამაღებებს, გაბადის ადიკოსკენ)
ადიკო! რა არის ღვინოში იხრჩვებით .. შემ-
ღვრებით) არ გეკადრება, არ შეგფერდება...

ადიკო, ვაჰ, ქნენა ჩიტუნია... Чувст-
вую, что падаю...

ქნ. ჩიტ. Падаете? (გაუცინებს) მაშ
მოიტათ თქვენი ხელი... (სიმღერა შეწყდება)

ადიკო. (გაუღიანებს, მისცემს ხელს, წა-
მადგება და ორიენტი აივნის ხარისხსაკენ მი-
ღაინ)

კოწია. (გორგასდახს) რას მელაბარაკება,
ბიძია, აბა არ გინახავს შენ... (ამოღებს
ქობიდან) ა, ავერ ეს ბარტიცა, ეს ოხრაა
ეს გიშერი და ეს ვერცხლი...

გორგას. ჰე-ჰე-ჰე!.. (განაცხობენ ჩუმი
ღაინსაკენ)

ფაც. (მზრას უფროსს) არა. მე ვერა-
ფერს ვაღწყვეტილს ვერ გეტყვით ყოველი-

ვე ეს ისე უცებ მოხდა... მეგრე კიდე თქვენ
სულ სხვა კაცი. სულ სხვა ნაციის. მე კი
ერთი სოფლის უბრალო, ქართველი კნოიენა...

მაზ. უფ. Вот, вот... ეხლა კი
მართლა ქართულად მსჯელობთ... რა ვუ-
ყოთ, რომ მე უცხო ნაციისა ვარ! მე რომ
მკითხოთ თქვენ ქართველები სწორედ ვგრე
უნდა მოიქცეთ... თქვენი ქალები სულ უფ-
ხოვლებზე უნდა გაათხოვოთ... თუ გინდათ,
რომ სისხლი განაახლოთ... აბა რას წარმოა-
დგენთ ეხლა?.. დაჩიავებული. დაგაზიანებუ-
ლი... იაქა-იაქ თუ გამოვარდება თქვენისთანა
კეკლუცი, თორემ აბა სადა არიან ოდესმე
განთქმული გრუზინსკია красавицы?.. ეს
რატომ მოხდა?.. იმიტომ რომ მუდამ მონები
იყავით ქართველები და ერთხელაც არა
ცდილობათ ამ მონობიხვან რიგინათ თავი
დაგეწვიათ... მონას კი ან რა კვება ექნება,
ან რა ჯიშის შექმნა შეუძლიან! Гдѣ ваша
породистость? თქვენა გვინათ მე არ ვი-
ცი თქვენი ისტორია? ერთი ბატონიდან მე-
ორე ბატონის ხელში გადადიოდით... ყველა
თქვენ გირტყამდათ: ერთი მხრით „შპარსეთი,
მეორე მხრით ოსმალეთი, ძველი ბიზანტია,
მთიულები, ჩეჩნები, ლეკები, ოსები. ყველა
თავში გიფაზუნებდათ, ვისაც კი არ ენარე-
ბოდა. თქვენ კი ამბობთ კულტურული ხალ-
ხი იყავითო. რის კულტურა? რა კულტურ-
რა? რა გაგაჩნდათ, რა გქონდათ?.. ჩვენ,
რუსებმა მოგანიკეთ ყოველივე. ეხლა. ეხლა
მაინც უნდა მოეგოთ გონს... ეხლა ჩვენ უნ-
და შეგვიერთდეთ სულით, სისხლით, სხეუ-
ლით... უწინარეს ყოვლისა თქვენ ქალები
უნდა გახდეთ гражданки великой русской
империи და მაშინ .. შეიძლება თქვენი საქ-
მეც გამოკერდეს...

ფაც. (დიდათ სწუენს მზრას უფროსის
სიტყვება, შეურაცხოვას განობს, მღაღვარ-
ებს, მაგრამ მუშის შემდეგ უკრად ხელს
გაუწვდის) ეღუარდ ერაზმოვიჩი... იი ჩემი ხე-
ლი...

მაზ. უფ. Вот, вот... ესე არა
სჯობია?.. (ხელს მაჭიკებს) Мое счастье!
Крля моя?.. (მისმის ღღინის შეთვისებას
გმიანებს გაიძვერა მოყვარაქ!)

ეხლა გამოუცხადებ ყველას ჩემს ბედნიერე-
Госиода!

სხსნლხო თეატრის ისტორია

(მასალები)

რადგანაც ავლაბარში ქართველი და სომეხი ხალხი ერთმანეთისგან ძნელათ განიჩნევა, თითქმის ერთად ძმურად და მეზობლურად ცხოვრობენ, სომეხი მშვენივრათ ლაპარაკობს ქართულს, ამას კიდევ კარგათ ესმის სომხური, ამიტომ გამგე. ფირუმიანი, რომელიც ერთსა და იმავე დროს სომხურ წარმოდგენებსაც მართავდა, შეიერთა სომხურ-ქართული სცენის მოყვარეს ერთად და 1904 წ. მაისის 7-იდან დაიწყო ქართველ-სომეხთა სცენის მოყვარეთა ამხანაგობა.

ისე რომ, როდესაც რომელიმე პიესა ქართულად იდგმებოდა, ანვე ღამეს სომხური ერთ მოქმედებთან ვოდველი მიდიოდა. და თუ პიესა იდგმებოდა სომხურად, მაშინ ერთ მოქმედებთან ქართულად. ასე მართავდნენ წარმოდგენებს. მაგალითად 9 მაისს „ბედს ვერ წაუხვალ“ ქართულად. „ჩემი სამსახური ზერინვაა—სომხურად. 16 მაისს არსენა ქართულად „პოეტა“ სომხურად. ამ რიგათ წაივლიდა მთელი წლის წარმოდგენები.

ხალხი მუდამ ნასიამოვნები რჩებოდა. იყვნენ ისეთი სცენის მოყვარეები, რომელნიც ორთავ წარმოდგენებში იღებდნენ მონაწილეობას, როგორც, მაგალითად, ფირუმიანი. ივ. მარკოზოვი, ქნი ბეგიჯანიანი. ბუჩუკური და სხვა. თუ რომელიმე დიდ პიესას ვოდველი ველარ დაედგმებოდა, იმ შემთხვევაში სომხები მორიგებოდნენ ქართულ წარმოდგენებში და ქართველები სომხურში. ამხანაგობას ჰყავდა არჩული თავისი გამგეობა, რომელიც ირჩევდა პიესებს, ანაწილებდა როლებს, დეფიციტებს და ნიშნავდა მორიგ გაზგებს. ამ გაგმეობაში იყვნენ ქართველებად: ფირუმიანი, მარკოზოვი, ბადაშვილი, ალ. ბაჯიაშვილი, სალაყაია. სომხებიდან: ისევ ფირუმიანის გრიგორიანი, ბადაშარიანი, ლუშჩიანი და ლაშქარიანი. სუფლიორად ალექ. ბაჯიაშვილი, სცენარისუთათ ბეტა ბეგიჯოვი.

თეატრის ქირას 50 მ. იხდიდნენ იყო სხვა ხარჯებიც. ყოველი წარმოდგენა ზარალით

თავდებოდა, ამ ხარჯების დასაფარათ თვითული სცენის მოყვარე თვიურად 50კ. იხდიდა, შხირათ მეტსაც.

იყვნენ ისეთი თანამგრძობელნიც, რომელნიც ერთ-დროულათაც ეხმარებოდნენ, მაგ ვაქარმა ოპანებ დანელიანცმა იკისრა ერთი თვის დეფიციტი და 50 მან. შესწირა. აგრეთვე შესწირა ხელოსანმა ნიკო მირველივმა 20 მან. სცენის მოყვარეთა ამხანაგობა იძულებული შეიქნა წარმოდგენები შეეწყვიტა და მოიჯარადრე არაქსიანისთვის თეატრის ქირას დაკლებდა მრევლხვნა. არაქსიანიც დათანხმდა 2 თვის შემდეგ და ქირაცა ცოტათი დაუკლო.

1905 წლიდან ხელახლა განაგრძეს წარმოდგენები. ისევ ქართულ-სომხურად ერთად გაიმართა რამოდენიმე წარმოდგენა, მაგრამ დეციტები თავიდან ველარ მოიშორა. ფირუმიანმა თავი მიანება გამგეობას, მის ნაცვლათ აირჩიეს თომა ნასიმე. წარმოდგენები მარტო ქართული მიდიოდა. მაგრამ უფრო მეტი ზარალით თავდებოდა. ფირუმიანი ხელახლა იქმნა არჩული, მანვე დაიწყო სომხურ ქართული წარმოდგენები. ერთხელ გამართეს დილით და საღამოთი სხვა და სხვა წარმოდგენა. დამსწრე საზოგადოებას შეეძლო ერთი და იგვე ბილეთითი დილითაც დასწრებოდა და საღამოთიც, მაგრამ ვერც ამ ხერხმა გასქრა და შემოსავალმა გასავალი ვერ დაფარა. გაჩნდნენ სხვა დასხვა სცენი მოყვარენი, ომლებიც მართავდნენ კერბო წარმოდგენებს. ბ. არაქსიანმაც რომ დაინახა თეატრის ბერი მოსურენ ჰყავსო, ქირას აუწია და ვინც მეტს მისცემდა თეატრის მხოლოდ იმას აქირავებდა, ისე რომ ამხანაგობამ, რომელშიაც შედიოდნენ აფხაზიშვილი, ბეგიჯანიანი, ბუჩუკური, ზამელა (მსახიობი), მარკარჩეულიოვი. ქართველიშვილი; ბ. ბადაშარიანი, ბადაშვილი, ბაჯიაშვილი, გალუსტიანი, ვართანიანი ივრისპირელი, ლაშქარიანი, ლოლაძე მელიანცი, მარკოზოვი, კოლა მცტრეული, მირველიოვი, სალაყაია, საღამოთიანი, საფაროვი, სოლომონიანი, ფირუმიანი, ლუშჩიანი, და ჩალაძიანი ველარ შესძლო ამდენი ზარალის თავისი ჯიბიდან გადახდა. არაქსიანცსაც ვალი დაელო თეატრის პატრონისა და თეატრი დროებით დაიკეტა.

გიორგი ჯაბაური.



წეთელ-ბილეთიანის სიმღერა

არაფერი არ მიხარის,
გული კვნესის სეფლიანი,
სული მტკივა, ავად ვარ,
ვიტანჯები ქრისტიანი.
ჯარის კაცად გამიწვიეს,
ავად მყოფი, დარღიანი,
შეყრილიყვნენ იუდეები,
არვი იყო რიგისი.

მე სამშობლოს დამაშორეს,
გამიყენეს შორსა გზასა,
მიმიყვანეს ჯოჯაბეთში,
მასწავლიან კაცის კვლასა;
ნეტა რაექნა, რა ვაწამო,
ვერ ვეწყობი ამ საქმესა,
ღმერთმა მისცეს მაგიერი
ვინც რომ ასე დააწესა..

არტემა ძველ-გალაგნელი.

შეკითხვის ზასუხი

„თეატრი და ცხოვრების“ მე-15-ე „იარის“ ყოფილი ამხანაგი გვეკითება, თუ რამდენი შეფაროვით „იარის“ მსახიობთა შორის დამწვარი თეატრის სახარებლობა?

შეკითხველს უნდა მოვასხენო შემდეგი: ფულს აგროვებდა ივანე სურგულაძე (რეჟისორი). მე რამდენჯერმე მოვაგონე, რომ ანგარიში გაესწორებია, თუ კი რამე აქვს შევაროვებული. მიკვირს, ამდენხანს არა გზავნის, სადაც ჯერ არს. იმედი მაქვს, აწი მიიღვება გზავნის და თავიდან ამაშორებს პრაოდებს, როგორც ქართული თეატრის გულ შემატკივარს.

ვახილ კირვალძე.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

ახალი კლუბი 13 მირის პრუ-
აპრილის 23-30
მინი — რუსული წარმ-დაცნა. ბილეთები 0-30 კ.
ღრმაბაბთი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50
ღსამშაბაბთი — სოჯაბო საღამო
ღმთშაბა. — სინემატოგრაფი. სიმებ, ორკ.
ხუთშაბა. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაა.
პარბსა. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-ღე
აბ. — სოჯაბო საღამო

სახელმფო (წინანდელი სა- საზინო) თეატრი

ორშაბათს 29 მაისს.

მსახიობი ქალი
ელეხ ანდრონიკაშვილი

გამართავს წარმოდგენას: წარმოდგენილი იქ-
მნება პირველად ქართულ სცენაზე
უ ა ა მ ვ ა დ ა დ ი ა ნ ი ს
პიესა

მ დ ვ ი მ ე შ ი

ფანტასტიურ სანახაობა სამს ნაწილით. პიესა დაწერილია 1905 წ. და შიგ გამოხატულია ფანტასტიურ სამეფოს ძველი მთავრობის დამხობა. როლებს შეასრულებენ: ქ-ნ ამირაჯიბი ცაცა, დადითაშვილი ნ., ქილარჯიშვილი მ. ბბ. ბარცელი, გამყრელიძე, გვარამე, იმედაშვილი, კორიშვილი, მატარაძე, მგალობლი-შვილი, შალიკაშვილი.

თანამშრომლებში ურევთან: ანდრონიკა-შვილი თამარ, კალატოზიშვილი მაცვალა, მაისურაძე ნინო, ციციშვილი ტასო

აგრეთვე წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქართველ დამკვერელი ქალი.

ქ-ნ როსტევან. პიესა დაიდგმება თვით ავტორის რეჟისორობით. სამხატვრო მორთულობას ხელმძღვანელობს გიორგი ერისთავი. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე ბილეთები ისყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში და „ძმურ ნუგეშში“.

„თეატრი და ცხოვრება“

პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუნა № 1, ფოსტით: Тифлис, ред. „Театры да Цховребა“ — Тос. Имедашвили.



გურჯული-აჭარული ციკვა ზორუმი რომელსაც შეასრულებენ ქართველი მაჰმინები სახაზინო თეატრში
ოთხშაბათს, 31 მაისს კ. ფოცხვერაშვილის ეთნოგრაფიულ საღამოზე